გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №5

ქ. გარდაბანი

28 აპრილი 2026 წელი 13[00] სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი:

სამირ ხიალოვი

ზაზა ონიანი

ვუგარ მამედოვი

ზურაბი ბენდელიანი

ლევან ნიჟარაძე

თამარი ხაჩიძე

ბეთქილი კახიანი

ისლამ მამედოვი

ანი მანჩხაშვილი

ლია მეტრეველი

თორნიკე ქავთარაძე

დავითი ებილაშვილი

ლაშა ქართლოსიშვილი

ქართლოსი მამულაძე

ანა დადეშქელიანი

ოთარი გავაშელიშვილი

მირზა მირზოევი

ფლორა ასკაროვა

შახადატ მეხრალიევი

კამრან ბაბაევი

ლევანი ბეგლარიშვილი

არკადი ფანგანი

ხვიჩა ჩიტიაშვილი

გიორგი გამეზარდაშვილი

იოსები ძამნაშვილი

იუსუფ მელაძე

ზაქირ დაშდამიროვი

არაზ ვალიევი

ილხამ ბაირამოვი

ნიჩატ ისმაილოვი

საბაილ მამედოვი

მალხაზ ვახტანგ

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შორენა ჭუმბურიძე;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი- დავით ჯანაშია.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ***შორენა ჭუმბურიძე***
თანამომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***
თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ფიქრია ქარუმიძე***
თანამომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გეგი ონიანისა და მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ილია კიკოლაშვილისა და მწვრთნელის სოსო ივანიშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, დავით ახალკაციშვილის, ალექსი კახაბრიშვილის, გიორგი კახაბრიშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლიანა სარატიკიანის, ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელების: დავით კაკრიაშვილისა და ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვისა და მწვრთნელის ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

10. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 32
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა მომხსენებლებს სთხოვა, რომ საკითხები განსახილველად გამოეტანათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შორენა ჭუმბურიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით საჭიროა ცვლილება განხორციელდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში და დანართის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

ა) გარდაბნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - ქალაქი გარდაბანი (მათ შორის უბნები: ქვემო კაპანახჩი, თბილწყარო, ლელაშხა, მინისტრთა საბჭოს დასახლება, გამარჯვება - ყოფილი სამხედრო დასახლება;

ბ) ვახტანგისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია– სოფელი ვახტანგისი);

გ) ქესალოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ქესალო);

დ) აღთაკლიის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი აღთაკლია);

ე) სართიჭალის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია– სოფელი სართიჭალა, სოფელი მუღანლო);

ვ) ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია– სოფელი ნორიო (მათ შორის სააგარაკე დასახლებები: გრუზულა ტბა, მზიური), სოფელი ზემოქვიშიანი, სოფელი ქვემო ქვიშიანი);

ზ) გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია –სოფელი გამარჯვება, სოფელი გამარჯვება I, სოფელი ფოლადაანთკარი);

თ) მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია–სოფელი მარტყოფი (მათ შორის სააგარაკე დასახლებები: აკრიანი, ბროწეულა, ძელახო, მზიანეთი, სააკაძის აგარაკები), სოფელი სააკაძე, სოფელი ვაზიანი);

ი) ნაზარლოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ნაზარლო);

კ) ახალი სამგორის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ახალი სამგორი);

ლ) ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია–სოფელი ახალსოფელი, სოფელი საცხენისი, სოფელი მუხროვანი);

მ) ლემშვანიერას ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია –სოფელი ლემშვანიერა, სოფელი მზიანეთი, სოფელი ნაგები);

ნ) ყარაჯალარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ყარაჯალარი);

ო) თელეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ქვემო თელეთი, სოფელი ზემო თელეთი, სოფელი ახალწყალი, სოფელი წალასყური, სოფელი მუხრანთელეთი);

პ) კუმისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: კუმისი (მათ შორის სააგარაკე დასახლებები: კუმისის აგარაკები, კოჯრისხევის აგარაკები), სოფელი ახალი კუმისი);

ჟ) კრწანისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია –სოფელი კრწანისი (მათ შორის სააგარაკე დასახლებები: გიგანტი, სვანების უბანი, ზოოვეტის აგარაკები), სოფელი მთისძირი);

რ) კალინინოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია –სოფელი თაზაქენდი, სოფელი კალინინო (მათ შორისუბანი -ახალშენი), სოფელი ბირლიკი (მათ შორის უბანი - ამბართაფა) სოფელი ბოტანიკა);

ს) ჯანდარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ჯანდარა);

ტ) ყარათაკლიის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია –სოფელი ყარათაკლია).

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №3 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, საკითხი **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“** საკრებულოს წევრებს განსახილველად წარუდგინა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა - დავით ჯანაშიამ, მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული წესით განისაზღვრება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის სამართლებრივი საფუძვლები და განხორციელების წესი. ამასთანავე ეს წესი ადგენს შინაური ბინადარი ცხოველების, როგორც ცოცხალი არსებების, კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მათი ბუნებრივი უფლებების აღიარებისა და დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს, აგრეთვე მეპატრონეთა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება № 4 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი 3

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - ფიქრია ქარუმიძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ** საკრებულოს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ, მანვე განმარტა, რომ ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, ანგარიში მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №40 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გეგი ონიანისა და მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გეგი ონიანისა და მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 16-18 მარტს, ქ. გორში გამართულ საქართველოს პირველობაზე, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 20 წლამდელებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გეგი ონიანმა (პ/ნ. [redacted]) 57კგ. წონით კატეგორიაში, დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია ოქრუა ჯოხაძე (პ/ნ.[redacted]).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გეგი ონიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 800 (რვაასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, 400 (ოთხასი) ლარი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 25 მარტის №47 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №41 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გეგი ონიანისა და მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 5

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ რომ 2026 წლის 15-22 მარტს, მალტაში გამართულ ევროპის კლასიკურ ჩემპიონატზე ძალისმიერ სამჭიდში დიდებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სოფიკო კვანჭიანმა (პ.ნ.[redacted]) 63 კგ. წონით კატეგორიაში, სამჭიდის ჯამში შედეგით 487,5 კგ. - დაიკავა მესამე ადგილი და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ასევე ცალკეულ მოძრაობებში ჩაჯდომი და წოლჭიმი მოიპოვა ბრინჯაოს მედლები შედეგით: 177,5 კგ. და 115 კგ. მისი მწვრთნელია გიორგი ხახიაშვილი.

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის-სოფიკო კვანჭიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით 1000 (ათასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2026 წლის 8 აპრილის №04-07 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №42 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 6

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ილია კიკოლაშვილისა და მწვრთნელის სოსო ივანიშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების

პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ილია კიკოლაშვილისა და მწვრთნელის სოსო ივანიშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 2-6 მარტს, მცხეთაში გამართულ საქართველოს პირველობაზე, თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 17 წლამდელებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე ილია კიკოლაშვილმა (პ/ნ. [redacted]) 60კგ. წონით კატეგორიაში, დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია სოსო ივანიშვილი (პ/ნ. [redacted].

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ილია კიკოლაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის სოსო ივანიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 300 (სამასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 25 მარტის №49 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №43 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ილია კიკოლაშვილისა და მწვრთნელის სოსო ივანიშვილის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 7

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, დავით ახალკაციშვილის, ალექსი კახაბრიშვილის, გიორგი კახაბრიშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, დავით ახალკაციშვილის, ალექსი კახაბრიშვილის, გიორგი კახაბრიშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 15, 26, 2, 28 და 29 მარტს გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მკლავჭიდში დ პარა-მკლავჭიდში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სპორტსმენებმა:

1. ლუკა კვანჭიანმა (პ.ნ. [redacted]) 55კგ. წონით კატეგორიაში, დიდებში, მარჯვენა ხელი - დაიკავა II ადგილი.

2. ბაკური კვანჭიანმა (პ.ნ. [redacted]) 60კგ. წონით კატეგორიაში 18 წლამდელებს შორის, მარჯვენა ხელი - I ადგილი. (ტექნიკურ შედეგებში და დიპლომში შეცდომით დაფიქსირდა ბაკურ კვანჭიანი).

3. გიორგი მათიაშვილმა (პ.ნ. [redacted] +100კგ. წონით კატეგორიაში, პარა, თვალები, მარჯვენა ხელი - I ადგილი.

4. დავითი ახალკაციშვილმა (პ.ნ. [redacted]) 110 კგ. წონით კატეგორიაში ვეტერანები, მარცხენა ხელი დაიკავა II ადგილი, (დიპლომში შეცდომით დაფიქსირდა დავით ახალკაციშვილი).

5. ალექსი კახაბრიშვილმა (პ.ნ. [redacted]) 90 კგ. წონით კატეგორიაში - ვეტერანები, მარცხენა ხელი დაიკავა II ადგილი. (ტექნიკურ შედეგებში და დიპლომში შეცდომით დაფიქსირდა ალიკა კახაბრიშვილი).

6. გიორგი კახაბრიშვილმა (პ.ნ. [redacted]) ვეტერანები, +110 კგ. წონით კატეგორიაში მარცხენა ხელი - დაიკავა I ადგილი. სპორტსმენების მწვრთნელია ლუკა ჩიტრეკაშვილი (პ.ნ. [redacted]).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელის ერთჯერადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგნაირად: ლუკა კვანჭიანი 1 500 (ათას ხუთასი) ლარი, ბაკური კვანჭიანი 8000 (რვაასი) ლარი, გიორგი მათიაშვილი 2 000 (ორი ათასი) ლარი, დავითი ახალკაციშვილი 1 000 (ათასი) ლარი, ალექსი კახაბრიშვილი 1 000 (ათასი) ლარი, გიორგი კახაბრიშვილი 1 500 (ათას ხუთასი) ლარი, მწვრთნელი - ლუკა ჩიტრეკაშვილი 2 200 (ორი ათას ას სამოცი) ლარი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილებისა და საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 24 აპრილის №076 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №44 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, დავით**

ახალკაციშვილის, ალექსი კახაბრიშვილის, გიორგი კახაბრიშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

საკითხი 8

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლიანა სარატიკიანის, ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელების: დავით კაკრიაშვილისა და ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლიანა სარატიკიანის, ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელების: დავით კაკრიაშვილისა და ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 2-7 თებერვალს ქ.ფოთში გამართულ საქართველოს 2026 წლის ჩემპიონატზე 19 წლამდე ასაკის მოკრივეთა შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა მოკრივემ ლიანა სარატიკიანმა (პ/ნ. [redacted]) 60კგ. წონით კატეგორიაში, მოიპოვა მეორე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია დავითი კაკრიაშვილი (პ/ნ.[redacted]), ხოლო სპორტსმენმა ემილ ისმაილოვმა (პ.ნ. [redacted]) 55 კგ. წონით კატეგორიაში - დაიკავა პირველი ადგილი, მისი მწვრთნელია ვუგარ მამედოვი (პ.ნ. [redacted]).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლიანა სარატიკიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 900 (ცხრაასი) ლარი, ემილ ისმაილოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1 000 (ათასი) ლარი ხოლო, მწვრთნელების - დავითი კაკრიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი, ვუგარ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 23 აპრილის № 153/04 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №45 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლიანა სარატიკიანის, ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელების: დავით კაკრიაშვილისა და ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 9

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვისა და მწვრთნელის ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვისა და მწვრთნელის ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 3-8 მარტს, ქ. ბათუმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე 15 წლამდე ასაკის მოკრივეთა შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა მოკრივემ აიდინ მამედოვმა (პ.ნ. [redacted]) 48 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მეორე ადგილი, მისი მწვრთნელია ვუგარ მამედოვი (პ.ნ. [redacted].

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის ვუგარ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 200 (ორასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 23 აპრილის № 154/04 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №46 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვისა და მწვრთნელის ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 10

საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ აპრილის თვის ხარჯები თანდართული ცხრილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 33
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №47 - **საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო * 226573204 *